

ეროვნული სემინარის ანგარიში - „ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორების“ შესახებ

თბილისი, საქართველო, 29 ნოემბერი – 1 დეკემბერი, 2017

ორგანიზებულია, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიისა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ხე-ტყის სექციის, სატყეო პოლიტიკის სამმართველოსა და ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან პარტნიორობით, პროექტის - „კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ტყის მდგრადი მართვის ანგარიშგების სისტემები“, რომელიც დაფინანსებულია გაეროს განვითარების ფონდის მიერ.

ანგარიშის წარმომდგენი:

გიგია ალექსიძე, პროექტის ეროვნული კონსულტანტი საქართველოში

მარტი, 2018

სარჩევი

აბრევიატურა.....	4
1. შესავალი.....	6
პროექტის მიმოხილვა	6
2. სიტუაციის მიმოხილვა საქართველოში.....	6
2.1. ტყის მმართველობის ზოდადი შინაარსი	6
2.2. არსებული გამოწვევები.....	7
2.3. პროცესებისა და შედეგების მიმოხილვა	9
3. ეროვნული სემინარი.....	10
3.1. ეროვნული სემინარის მიზნები.....	10
3.2. დღე 1, გაცნობა და საფუძვლები.....	11
3.3. დღე 2, პრაქტიკული ცოდნა კრიტერიუმებისა და ინდიკატორების განვითარებისთვის.....	16
3.4. დღე 3, ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება.....	26
4. შეჯამება, მომდევნო ნაბიჯები და საჭიროებების გამოვლენა.....	40
დანართი 1. კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ნუსხა	46
დანართი 2. მონაწილეთა სია.....	52
დანართი 3. დღის წესრიგი.....	55

List of Abbreviations

APA	დაცული ტერიტორიების სააგენტო
CENN	კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი
C & I	კრიტერიუმები და ინდიკატორები
DES	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
FAO	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
FE	„ევროპის ტყეები“ (მინისტრთა კონფერენცია ტყეების დაცვის შესახებ ევროპაში)
FLEG	სატყეო სექტორში კანონიერების დაცვა და მმართველობა
FLUIDS	ტყისა და მიწათსარგებლობის საინფორმაციო სისტემა
FPD	სატყეო პოლიტიკის სამმართველო
FPS	სატყეო პოლიტიკის სამსახური
FSC	სატყეო სამეურვეო საბჭო
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
GEF	გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი
GFW	Global Forest Watch
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
HCV	მაღალი კონსერვაციის ღირებულება
IUCN	ბუნების დაცვის საერთაშორისო გაერთიანება
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
MoEPA	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MoENRP	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
NBSAP	ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
NEAP	გარემოსდაცვითი ეროვნული სამოქმედო გეგმა
NFA	ეროვნული სატყეო სააგენტო
NFC	ეროვნული სატყეო კონცეფცია
NFI	ეროვნული ტყის ინვენტარიზაცია
NFP	ეროვნული სატყეო პროგრამა

NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
NTFPs	ტყის არამარქნული რესურსები
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
SFM	ტყის მდგრადი მართვა
SMART	სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში განსაზღვრული
TEEB	ეკოსისტემისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკა
ToS	სპეციალისტების გუნდი
UNECE	გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია
UNEP	გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა
UNFF	გაეროს ფორუმი ტყეების შესახებ
WB	მსოფლიო ბანკი
WRI	მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი
WWF	ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი

1. შესავალი

1.1. პროექტის მიმოხილვა

ანგარიში იძლევა UNECE / FAO, UNDA- ს ეროვნული სემინარის - „ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორები საქართველოსთვის“ შედეგების მიმოხილვას, რომელიც გაიმართა 2017 წლის 29 ნოემბერი - 1 დეკემბერს თბილისში.

ეროვნული სემინარი წარმოადგენს UNDA- ს პროექტის ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ხუთი ქვეყნის (სომხეთი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი და უზბეკეთი) ეროვნული შესაძლებლობების გაძლიერებას ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების (C&I for SFM) შემუშავების მიზნით.

პროექტი ეფუძნება არსებულ პროცესებსა და გამოცდილებას მონაწილე ქვეყნებში, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის კონკრეტულ საჭიროებებსა და პრიორიტეტებს, უზრუნველყოფს ცოდნის, შესაძლებლობების შექმნის, ტრენინგის მასალებსა და საკონსულტაციო მომსახურებას, იმისათვის, რომ, განისაზღვროს ტყის მდგრადი მართვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის გამოვლენა და შესაბამისობა ეროვნულ დონეზე და ხელი შეეწყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პოლიტიკის შემუშავებას. პროექტის ხანგრძლივობაა 2016 წლის ივნისიდან 2019 წლის დეკემბრამდე.

კრიტერიუმები და ინდიკატორები შეიძლება გამოყენებულ იქნას ეროვნულ დონეზე ტყის სექტორის სტატუსისა და ტენდენციების მონიტორინგისთვის და პარალელურად მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიმართ პროგრესის შეფასებაში.

ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმები და ინდიკატორები წარმოადგენს ინსტრუმენტს გარემოსთან ტყეების მნიშვნელობის კომუნიკაციისთვის, ასევე ეკონომიკასა და საზოგადოებასთან ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

პროექტის ძირითად დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ სახელმწიფო ექსპერტები ეროვნული სატყეო სააგენტოებიდან, კვლევითი ინსტიტუტებიდან, ტყეებთან დაკავშირებული სამინისტროები და არასამთავრობო ორგანიზაციები. გარდა ამისა, ძირითადი პარტნიორები მოიცავს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს ან იმ ქვეყნებში უკვე მიმდინარე ინიციატივებს (მაგ. FAO, GIZ, UNEP, GEF).

2. სიტუაციის მიმოხილვა საქართველოში

2.1. ტყის მმართველობის ზოდადი შინაარსი

ტყეები საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ბუნებრივი რესურსია. საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 40% დაფარულია ტყით და გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი მერქნისა და სხვა ტყის პროდუქტების წარმოებაში. საქართველოს ტყეების დაახლოებით 98% ბუნებრივი წარმოშობისაა. მას გააჩნია დიდი მემკვიდრეობა ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით და შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ეკოსისტემებისა და ეკო-მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით, როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ დონეზე. საქართველო პოზიციას იკავებს მსოფლიოს 34 ბიომრავალფეროვნების ცხელ წერტილში, რომელიც აღიარებულია მდიდარი ბიომრავალფეროვნებით.

ქვეყანაში შექმნილია სექტორში ინვესტიციისთვის ხელსაყრელი გარემო, რადგან მისი ბევრი მიმართულება და რესურსი აუთვისებელია დღემდე. მეორეს მხრივ, ტყეების 20% -ზე მეტი დაცულია, სტატუსით - ეროვნული პარკები, დაცული ტერიტორიები და ა.შ.

ქვეყნის ტყეები არა მხოლოდ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას, არამედ მოსახლეობისთვის სასიცოცხლო პირდაპირი ან არაპირდაპირი სარგებლობისა და რესურსების უწყვეტ მიწოდებას უზრუნველყოფს. ეს ხელს უწყობს მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას, სიღარიბის შემცირებას და ქმნის ხელსაყრელ პირობებს ქვეყანაში მდგრადი განვითარებისათვის.

საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია, რომელიც 2013 წელს პარლამენტმა დაამტკიცა და გამოხატავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას ტყეების მართვასთან დაკავშირებით, მისი ძირითადი სერვისებისა ღირებულებების გათვალისწინებით. დოკუმენტი წარმოადგენს საფუძველს სატყეო სექტორთან დაკავშირებული კანონმდებლობის, ინსტიტუციური მოწყობისა და სხვა პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავებისა და გაუმჯობესების მიზნით.

2013 წელს, ქვეყნის ტყეების დაცვის მიზნით და მათი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, დაიწყო სატყეო რეფორმის ახალი ეტაპი. შედეგად, შეიქმნა ეროვნული სატყეო სააგენტო (NFA), როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ახალი სატყეო პოლიტიკის სამსახური (FPS) და შეიქმნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (DES).

2.2. საქართველოს ტყის სექტორის არსებული გამოწვევები

მნიშვნელოვანი ნაბიჯები განხორციელდა ტყის მმართველობის სფეროში, თუმცა, სატყეო სექტორს გააჩნია კომპლექსური პრობლემები, რომლებიც მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებს. ეს პრობლემები გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზებით: არასათანადო ტყის მდგრადი მართვის სისტემა და კადრების სატყეო სამსახურებში, ინტერესთა კონფლიქტში, უკანონო საქმიანობები, არაეფექტური ექსპერტიზა ტყის გამოყენების მდგრადი დაგეგმარებისა და მონიტორინგის, ასევე, ხელსაყრელი პირობების შექმნის ნაკლებობა კერძო სექტორისა და სოფლის მოსახლეობისათვის, იმისათვის, რომ უზრუნველყოს ტყეების მრავალფუნქციურობა და მათი მდგრადი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები.

ტყის გამოყენება - ტყით სარგებლობის არსებული პრაქტიკა არ შეეფერება ტყის რესურსების მულტიფუნქციურ და ეფექტურ გამოყენებას. უპირატესობა ენიჭება მოსახლეობისთვის საშემე მერქნით მომარაგებას და დანარჩენი ღირებული ტყის რესურსები რჩება გამოუყენებელი. ტყითსარგებლობა არ აკმაყოფილებს სატყეო განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს და არსებული პრაქტიკა საფრთხეს უქმნის ტყის ეკოსისტემებს.

ტყეების რამდენიმე უზანზღ ჩატარებული უახლესი კვლევები და ტყეების ინვენტარიზაცია, გვაჩვენებს ტყეებზე მოსახლეობის მაღალ დამოკიდებულებას, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები მოსახლეობის. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე მრავალი კვლევა განხორციელდა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ, რომლებმაც წარმოადგინეს ინფორმაცია ტყის სექტორში სუსტი ტყეების მმართველობის შედეგად გამოწვეული ტყეების დეგრადაციის ხარისხსა და სექტორში უკანონო საქმიანობის მაღალი მოცულობების შესახებ.

უახლესი ბორჯომ-ბაკურიანისა და ხარაგაულის სატყეო უბნებში (დაახლოებით 90 000 ჰა) 2014-2015 წლებში ჩატარებული ინვენტარის ბოლო მონაცემებით, 1998 წლიდან ჩანს ხე-ტყის რესურსების მნიშვნელოვანი შემცირება და ტყეების დეგრადაციის მაღალი დონე, ასევე

გამოწვეული ემისიების 2 მილიონ ტონამდე CO₂. აღნიშნული შედეგების გათვალისწინებით დანარჩენი ქვეყნის ტყეების მდგომარეობის დიაგნოზირება შეიძლება იყოს ნაადრევი, თუმცა, მიზანშეწონილია სხვა რეგიონის სატყეო უბნებშიც მსგავსი შედეგების მოლოდინი.

უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე, საქართველოში უკანონო ჭრა წარმოადგენს დიდ პრობლემას. შეიძლება გამოვარჩიოთ ორი ძირითადი ჭრის ტიპი - საშემე და სამშენებლო მერქანი. სატყეო სტატისტიკა და მონაცემები ჭრების შესახებ არ წარმოადგენს სანდო ინფორმაციას. ბევრმა ექსპერტმა გამოთქვა ეჭვი ქვეყანაში ხეების წლიური ჭრების მოცულობის შესახებ. ისინი მსჯელობენ, რომ მთლიანად 2.5-დან 5.5 მილიონ მ³-მდე ხე-ტყე იჭრება საქართველოში 1991 წლიდან. გამომდინარე იქიდან, რომ, არ არსებობს სისტემა, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას მოახდენს, ცენტრალური სტატისტიკური სამსახური წინა წლის მონაცემებს იმეორებს.

მერქნისა და გარემოსდაცვითი ფუნქციების გარდა, საქართველოს ტყის ეკოსისტემები წარმოადგენენ მრავალრიცხოვან არამერქნულ ტყის პროდუქტებს, როგორცაა ხილი, კენკრა, თხილი და ქერქი. სხვა მნიშვნელოვანი არამერქნული პროდუქტი მოიცავს სოკოს, სამკურნალო მცენარეებს, თაფლს და დეკორატიულ მცენარეებს. აჭნიშნული პროდუქტი ხალხის მიერ გამოყენება უსასყიდლოდ. ზოგადად, ტყის არამერქნული პროდუქცია არ არის კომერციალიზებული, კანონმდებლობაში თეთრი ლაქებიდან გამომდინარე, ასევე დაფინანსების ნაკლებობისა და შეგროვებისა და გადამამუშავების სირთულეების გამო.

საქართველოში ტყეებს გააჩნია დიდი პოტენციალი მოსახლეობის საარსებო წყაროსა და შემოსავლის შექმნის კუთხით. ამჟამად, ტყეების სოციალურ-ეკონომიკური ღირებულების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, ამიტომ, სისტემური მონაცემების შეგროვებისა და მონიტორინგისთვის აუცილებელია ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების დანერგვა.

საქართველო მონაწილეობდა გლობალური FAO- ს ტყის რესურსების შეფასებაში 2015 წელს, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ, მონაცემთა ხარისხი არასაკმარისი იყო ან მონაცემები საერთოდ არ არსებობდა. ასევე, საქართველომ არ უპასუხა ერთობლივ მერქნული ენერგეტიკული კვლევის კითხვარს, მაგრამ რეგიონის ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც რეგულარულად მონაწილეობს და აწარმოებს ანგარიშგებას პან-ევროპული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების პროცესში. ეროვნულ დონეზე დადასტურებული და გაუმჯობესებული ინფორმაცია ტყეებზე მოსალოდნელია 2020 წლისთვის, ეროვნული ტყის ინვენტარიზაციის (NFI) განხორციელების შედეგად.

2.3. პროცესებისა და შედეგების მიმოხილვა C&I for SFM-ის ფარგლებში

2003 წლიდან საქართველო წარმოადგენს "ევროპის ტყის" (მინისტრთა კონფერენცია ევროპაში ტყეების დაცვის შესახებ) ხელმომწერ ქვეყანას, რომელიც ანვითარებს 46 წევრი ქვეყნისა და ევროკავშირის საერთო სტრატეგიას, თუ როგორ უნდა დაიცვას და მდგრადად მართოს ტყის ეკოსისტემები. FOREST EUROPE პროცესის ერთ-ერთი მთავარ მიღწევად მიიჩნევა ტყის მდგრადი მართვის პან-ევროპული კრიტერიუმების და ინდიკატორების შემუშავება. საქართველო სრულად უჭერს მხარს მინისტრთა კონფერენციის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას და მზად არის განახორციელოს ეროვნული სტრატეგიების, პროგრამებისა და ინიციატივების მეშვეობით, ასევე განიხილავს პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და გარე დახმარების კოორდინაციას. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით საქართველოს არ შეუძლუმა ტყეების მდგრადი მართვის ეროვნული

საანგარიშო სისტემა. მონაწილეობითი პროცესის მეშვეობით, საქართველო დგავს ნაბიჯებს ეროვნული ტყის საანგარიშო სისტემის დანერგვისთვის და ანვითარებს ტყეების მდგრადი მართვის ეროვნულ კრიტერიუმებისა და ინდიკატორებს.

ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების (C&I for SFM) საჭიროება და პოტენციური აღიარებულია როგორც ტყის მართვის ეროვნული მიზნების პროგრესის საზომ ერთეულად, ასევე, კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება განიხილება როგორც დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის მონაწილეობა სატყეო სექტორის რეფორმის პროცესში, იმისათვის, რომ, უზრუნველყოფილი იყოს ინტერესთა სპექტრის ასახვა და უფრო ინკლუზიური სატყეო სექტორთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება.

საქართველოში, ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავების პროცესი დაიწყო 2014 წელს და აღნიშნული პროექტი (UNECE/FAO/UNDA) მიზნად ისახავს ხელშეწყობას და პროცესების გაძლიერების გზით, დაეხმაროს ქვეყანას ყოვლისმომცველი, ეფექტიანი და ნაყოფიერი ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებაში. პროცესს ასევე ეხმარებიან მოწვეული ექსპერტები GIZ IbiS პროექტის მეშვეობით. ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით ჩატარდა რამდენიმე სამუშაო და საკონსულტაციო შეხვედრები. 2017 წელს, რამდენიმე სამუშაო შეხვედრის ფარგლებში შემუშავდა ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური პრინციპები, კრიტერიუმებისა და ინდიკატორების მიხედვით. მომზადდა დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელშიც აღწერილია ეროვნული პრინციპები, კრიტერიუმები და ინდიკატორები. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადდა დეტალური ტყის მართვის დონის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ჩამონათვალი, რამდენიმე სავსე და სამუშაო ვიზიტის შემდეგ ეკოსისტემებზე დაფუძნებული ტყის მართვის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის მხარდასაჭერად. აღნიშნული დოკუმენტის გამოყენება მოხდა ასევე საბაზისოდ ეროვნულ სემინარზე, რომელიც ჩატარდა 29 ნოემბრიდან - 1 დეკემბრის ჩათვლით.

3. ეროვნული სემინარი

ამ თავში შეჯამებულია პრეზენტაციები და ჯგუფური მუშაობის სავარჯიშოები, ასევე პროექტის ფარგლებში ეროვნული სემინარის შედეგები - „ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორები კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში“.

3.1. ეროვნული სემინარის ამოცანები

სემინარის გააჩნდა შემდეგი ამოცანები:

- ა) **გადახედვა.** გადახედვა პროგრესის, გამოწვევების და ნასწავლი გაკვეთილების, რომელიც უკავშირდება ტყისა და ტყის მართვის სტატუსს, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო ანგარიშგებას (reporting) საქართველოში.
- ბ) **რა და რატომ.** უზრუნველყოფილი იყოს სიცხადე, თუ რას ნიშნავს ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებთან და ინდიკატორებთან დაკავშირებული პრინციპები, დანიშნულება, პროცესები და განმარტებები.
- გ) **როგორ.** საუკეთესო საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილებების გათვალისწინებით, გავაძლიეროთ ცოდნა, თუ რა პრაქტიკით შევიძლეოთ ეროვნული კრიტერიუმებისა და

ინდიკატორების ნუსხა.

დ) **დაგეგმვა.** ხელი შევუწყოთ საწყისი კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ნუსხის განვითარებას, მათ შორის შემდგომი წინსვლის, ტესტირებისა და ფორმულირების პროცესის სამოქმედო გეგმის ჩათვლით.

სემინარი ასევე შეეხება შემდეგ კითხვებს:

- 1) არის თუ არა სრულყოფილი არსებული ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ნუსხა ტყეების მდგრადი მართვისთვის საქართველოში?
- 2) არის თუ არა შემოთავაზებული/არსებული C&I-ის ნუსხა ნათელი და დამახასიათებელი?
- 3) რა შეიძლება იყოს შემოთავაზებული ინდიკატორების მონიტორინგისთვის ინფორმაციის წყარო?
- 4) 3 დღიანი სემინარის შედეგების საფუძველზე ეროვნული C & I-ის ნუსხის შემდგომი განვითარებისთვის საჭირო სამომავლო ნაბიჯების განსაზღვრა
დეტალური ინფორმაცია (პროგრამა, პრეზენტაციები, სიახლეები, სურათები) შეხვედრის შესახებ ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.unece.org/index.php?id=45760>

დამატებითი ინფორმაცია პროექტის შესახებ იხილეთ: <https://www.unece.org/forests/areas-of-work/capacity-building/unda2016-2019.html>

3.2. დღე 1, გაცნობა და საფუძვლები

მისასალმებელი წინადადებები მასპინძელი ქვეყნისა და UNECE / FAO- ს წარმომადგენლების მიერ

პირველი დღის დილის სესია დაიწყო მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლის, ნათია იორდანიშვილის, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილის მისალმებით და გაგრძელდა პროექტის მიმოხილვით, ტერეზა ლოფლერის, პროექტის მენეჯერის მიერ, რომელმაც წარმოადგინა პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია, C & I პროცესების მაგალითები, ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებისათვის საჭირო მასალები.

მონაწილეთა გაცნობა, სემინარის მიზნები, შედგენილი საჭიროებების შეფასება, წესები და ნორმები. სემინარის სტანდარტების გაცნობა

სამუშაო შეხვედრის საჭიროებების შეფასების, მიზნის, მეთოდოლოგიისა და ზოგადი წესების პრეზენტაცია წარმოადგინა პროექტის რეგიონალურმა კონსულტანტმა და სამუშაო შეხვედრის ფასილიტატორმა, ვარდან მელიქიანმა. მან ასევე წარმოადგინა 2016 წლის ნოემბერში, სომხეთში ჩატარებული რეგიონალური სემინარის ძირითადი გაკვეთილები და რეკომენდაციები, ასევე საქართველოში კრიტერიუმებისა და ინდიკატორების განვითარების პროცესის გეგმა.

C & I-ის განვითარების პროცესის პრინციპები და გამოცდილება

UNECE / FAO- ს ერთობლივი სატყეო მეურნეობისა და ტყეების განყოფილების უფროსის მოადგილემ, ეკრემ იაზიჩიმ წარმოადგინა კრიტერიუმებისა და ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შესახებ საფუძვლები. მან ასევე აღნიშნა SFM- ის

მიზნების განსახორციელებისა და ეროვნული სატყეო პოლიტიკის მიზნების ურთიერთობის შესაძლებლობები, ასევე, ტყეებთან დაკავშირებული გლობალური და რეგიონალური პროცესების როლისა და წვლილის შესახებ, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეყნის ტყეების მდგომარეობის მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების მონიტორინგისათვის საჭირო ინსტრუმენტების განვითარება.

საქართველოს ტყეებისა და ტყის სექტორის მიმოხილვა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა კობა ჩიბურდმაძემ მიმოხილა სიტუაცია საქართველოში ტყეების შესახებ, ტყის მმართველობა, ტყის პოლიტიკის მიმართულებები და უკანასკნელი წლების მართვის შედეგები, ასევე, წარმოადგინა ტყეების საინფორმაციო სისტემის გაძლიერების მიზნით განხორციელებული პრაქტიკა და ქმედებები, როგორც მონაცემთა ხელმისაწვდომობა, ისე ხარვეზების შესახებ. მან ისაუბრა ქვეყნის ჩართულობის შესახებ საერთაშორისო პროცესებში, განსაკუთრებით "ევროპის ტყეების" პროცესში.

C & I-ის განვითარების ეროვნული პროცესი

სატყეო პოლიტიკის სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა, ლიკა გიორგაძემ განმარტა ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავების ეროვნული პროცესის მიზნები და შედეგები მის პრეზენტაციაში. გააცნო ინფორმაცია ნასწავლი გაკვეთილების შესახებ და 2017 წელს განხორციელებული რამოდენიმე სემინარის დროს შემუშავებული ძირითადი პრინციპები და კრიტერიუმების ნუსხა.

დაგეგმილი პირველი ეროვნული ტყის ინვენტარიზაცია (NFI)

GIZ/IBIS - ის პროგრამის ეროვნული ტყის ინვენტარიზაციის მრჩეველმა, ლაშა მაძამიამ წარმოადგინა პრეზენტაცია საქართველოში დაგეგმილი პირველი ეროვნული სატყეო ინვენტარიზაციის შესახებ. მის პრეზენტაციაში აღწერილი იყო NFI-ის მიზნები და მოლოდინები, მათ შორის ფაზები, მეთოდოლოგია, ინსტრუმენტები / ტექნოლოგიები, მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები, ასევე სექტორში ანგარიშგების ძირითადი რეგიონალური და გლობალური მოთხოვნები. მან ასევე დეტალურად მიმოხილა ის მონაცემები, რომლის წარმოებასაც უზრუნველყოფს NFI. ეს იქნება ძირითადი მონაცემთა შეგროვების წყარო ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორებით ანგარიშგებისთვის.

თურქეთის გამოცდილება

სატყეო მეურნეობის უფროსმა კონსულტანტმა, თამერ ოტრაქციერმა წარმოადგინა თურქეთის გამოცდილება ტყის მდგრადი მართვის სფეროში და C & I - თან დაკავშირებული პროცესები. მან აჩვენა ყოვლისმომცველი სურათი თურქეთის მიერ 1997 წლიდან სატყეო მეურნეობის მორგება საერთაშორისოდ განვითარებულ პრაქტიკასთან, მათ შორის ტყის სტრატეგიის დოკუმენტის მიზნებისა და C & I -ის განვითარებისა და განხორციელების პროცესის ინიცირება. მან აღწერა თურქეთის C & I for SFM მოდელი და მექანიზმი, მათ შორის ეროვნული ტყის პროგრამა და მონაცემთა შეგროვების, შეფასების, ანგარიშგების და განხორციელების გამოცდილება. მან ასევე წარმოადგინა ინსტრუმენტი - „გადაწყვეტილების ხე“, რომელიც თურქეთში გამოიყენებოდა თითოეული ინდიკატორის მიზანშეწონილობისა და გამოყენების შესაძლებლობის შესაფასებლად.

სამუშაო ჯგუფების დავალებები – საქართველოში არსებული შესაბამისი დოკუმენტების იდენტიფიცირება ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებისათვის

აღნიშნული სესიის დროს, მონაწილეები დაიყვნენ სამ თემატურ ჯგუფად (სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური, სატყეო მმართველობა) იმ ამოცანით, რომ, გამოევლინათ შესაბამისი დოკუმენტაცია, ასევე ხარვეზები დოკუმენტაციაში და შეემუშავებინათ რეკომენდაციები, რათა შეავსონ ხარვეზები.

ცხრილი 1. ჯგუფური სამუშაოს დროს გამოვლენილი რეკომენდაციები და არსებული შესაბამისი დოკუმენტაცია, მიზანშეწონილი კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებისათვის.

კითხვები	ჯგუფი 1 „სოციალურ - ეკონომიკური“	ჯგუფი 2 „ეკოლოგიური“	ჯგუფი 3 „სატყეო მმართველობა“
1. რა ძირითადი დოკუმენტები/ინფორმაციაა ხელმისაწვდომი ამ საკითხზე?	<ul style="list-style-type: none"> - წლიური ხე-ტყის მოხმარების ეროვნული აუდიტის შეფასება; - ეროვნული მშპ ანგარიშები - სამინისტროს ანგარიში დასაქმებულების შესახებ; - ხე-ტყის ექსპორტის / იმპორტის შესახებ შემოსავლების სამსახურის ანგარიშები; - ხე-ტყის ბაზრის კვლევა საქართველოსთვის (GIZ, 2016); - საშეშე მერქნის მოხმარების ანგარიში CENN, IUCN, WB - FLEG პროექტში შემუშავებული დოკუმენტაცია (http://www.enpi-fleg.ge/); - მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს გარემოსდაცვითი ანალიზი; - გარემოსდაცვითი საქმიანობის მიმოხილვა საქართველოსთვის 	<ul style="list-style-type: none"> - დოკუმენტები/პუბლიკაციები FLEG, WB, WWF, IUCN პროექტის ფარგლებში- http://www.enpi-fleg.ge/ - ENVSEC - https://www.osce.org/eea/89301 - GIZ projects - http://biodivers-southcaucasus.org/ - FLUIDS portal - http://geo.forest-atlas.org/ - „ევროპის ტყის“ დოკუმენტაცია C&I-ის შესახებ - http://foresteurope.org/ - კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ; - ბონის კონვენცია; - TEEB კვლევა - http://www.teebweb.org/countryprofile/georgia/ - FSC სერტიფიცირების სტანდარტები - სამეცნიერო კვლევები საქართველოს სატყეო სექტორზე; - ბიომრავალფეროვნების ინდიკატორების ჰარმონიზაცია (მ.გვილავა & ა.რუხაძე); - ტყის კოდექსი; - წითელი წიგნი 	<ul style="list-style-type: none"> - ეროვნული სატყეო კონცეფცია; - ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; - ტყის კოდექსი და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა; - ტყის ინვენტარიზაციის მონაცემები და მართვის გეგმა; - პან-ევროპული C&I for SFM; - „ევროპის ტყის“ სახელმძღვანელოები; - UNFF რეზოლუციები, სტრატეგია და სამოქმედო გეგმები; - FAO-ს ანგარიშები და ტყის მდგრადი მართვის სახელმძღვანელოები; - სახელმწიფო აუდიტის ანგარიშები.

<p>UNECE- ის მიერ; სხვადასხვა ტყის ტიპის მთლიანი ეკონომიკური შეფასების მეთოდოლოგია (2002).</p>		
<p>2. რომელი დოკუმენტებია მეტად შესაფერი C&I-ის განითარებისთვის?</p>	<ul style="list-style-type: none"> - ტყის კოდექსი; კანონ ქვემდებარე აქტები: No. 241, 242 & 179; - ეროვნული სატყეო კონცეფცია; - კანონი ბიომრავალფეროვნების შესახებ; - ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; - ტყის ინვენტარიზაციის მონაცემები; - წითელი ნუსხა; - სტატისტიკური მონაცემები. 	<ul style="list-style-type: none"> - ეროვნული სატყეო კონცეფცია; - ტყის კოდექსი და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა; - ტყის ინვენტარიზაციის მონაცემები და მართვის გეგმა; - პან-ევროპული C&I for SFM; - „ევროპის ტყის“ სახელმძღვანელოები; - FAO-ს ანგარიშები და ტყის მდგრადი მართვის სახელმძღვანელოები;
<p>3. რა არის ძირითადი ხარვეზები დოკუმენტაციაში?</p>	<ul style="list-style-type: none"> - ინფორმაცია და ქმედებები სოფლის მოსახლეობის საარსებო წყაროებისა და უკანონო საქმიანობის შესახებ; - მშპ-ს ანგარიშების ხარვეზები (მაგ. ტურიზმი); მოძველებული ანგარიშები; - ეკოსისტემის სერვისების შეფასება; - ნადირობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა 	<ul style="list-style-type: none"> - სუსტი კანონმდებლობა; - არასაკმარისი საბაზისო ინფორმაცია; - „ზურმუხტის ქსელი“; - ტყის მართვის სისტემის მონიტორინგი / ანალიზი <ul style="list-style-type: none"> - SFM-ის პრინციპებს არ ხორციელდება კანონიერად; - ტყის მართვის შეფასება არ განისაზღვრება კანონით; - რეგულაციის გარეშე არსებული საკითხები; - კვლევების/სამეცნიერო კვლევების არაეფექტური და არასაკმარისი გამოყენება; - არ არსებობს ერთიანი სატყეო მონაცემთა ბაზა;
<p>4. რეკომენდაციები, შესაბამისი ინფორმაციის</p>	<ul style="list-style-type: none"> - სოფლის მოსახლეობის საარსებო წყაროებისთვის ახალი ანგარიშებისა 	<ul style="list-style-type: none"> - ინტენსიური კომუნიკაცია და ინფორმაციის განახლება; - მონაცემთა მართვის ცენტრალური პლათფორმის შემუშავება; - ბუნებრივი ტყის ასოციაციები; <ul style="list-style-type: none"> - სატყეო კანონმდებლობის დახვეწა; - ქმედებების გაძლიერება ეფექტური

<p>შემუშავები სათვის</p> <p>და ყოვლისმომცველი კვლევების (შესაბამისი ფორმები) შემუშავება;</p> <p>- მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების შემოწმება;</p> <p>- FAO-ს პროექტის საფუძველზე ნადირობის კანონმდებლობის შემუშავება.</p>	<p>და ყოვლისმომცველი კვლევების (შესაბამისი ფორმები) შემუშავება;</p> <p>- მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების შემოწმება;</p> <p>- FAO-ს პროექტის საფუძველზე ნადირობის კანონმდებლობის შემუშავება.</p>	<p>- ეროვნული და ადგილობრივი დონის ტყის ინვენტარიზაცია და მართვის გეგმები;</p> <p>- ძლიერი ვებ პორტალი;</p> <p>- გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;</p> <p>- ახალი ტყის კოდექსის დამტკიცება;</p> <p>- პროფესიონალი მეტყვევების მომზადების ხელშეწყობა.</p>	<p>სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის;</p> <p>- ტყის მართვის შეფასების ეროვნული სისტემის შემუშავება;</p> <p>- სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის გაძლიერება;</p> <p>- C&I-ის საერთაშორისო ჩარჩოების შესწავლა;</p> <p>- C&I-ის აპლიკაციის გამოყენების შესწავლა და ძირითადი მიზანი ეროვნულ დონეზე;</p> <p>- დაინტერესებული მხარეების გამოვლენა და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა;</p> <p>- ძირითადი გამოწვევების განსაზღვრა;</p> <p>- სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა;</p> <p>- ძირითადი C&I-ის განვითარება და პრაქტიკაში გამოცდა;</p>
--	--	---	--

საქართველოს პირველი C&I-ის ნუსხის სამუშაო ვერსიის შეფასება

სემინარის მონაწილეებს დაევაღათ შეფასებინათ (1 – 5 ქულა) და წარმოედგინათ უკუკავშირი საქართველოს პირველი C&I-ის ნუსხის სამუშაო ვერსიის კრიტერიუმებზე (სულ 22 კრიტერიუმი).

გამოვლინდა ძირითადი რეკომენდაციები და მოსაზრებები: 1) კრიტერიუმების რაოდენობა უნდა შემცირდეს, ზოგი მათგანი უნდა გაერთიანდეს ან წაიშალოს; 2) კრიტერიუმების უმრავლესობა საკმაოდ გრძელია და უნდა იყოს უფრო ფორმულირებული; 3) კრიტერიუმების გრამატიკული ფორმა უნდა ჩამოყალიბდეს ერთი სტანდარტის მიხედვით; 4) ზოგადად, ყველა კრიტერიუმის ფორმულირება უნდა შეიცვალოს.

3.3. დღე 2, პრაქტიკული ცოდნა კრიტერიუმებისა და ინდიკატორების განვითარებისთვის

1-ლი დღის შეჯამება:

მეორე დღის დილის სესია დაიწყო პირველი დღის შედეგებისა და ძირითადი საკითხების შეჯამებით. პრეზენტაციის დროს ექვს ძირითად თემას გაესვა ხაზი: 1) საქართველო იყენებს მონაწილეობით მეთოდს ეროვნული C&I-ის განვითარებისთვის; 2) კრიტერიუმებია ის, რისი გაზომვაც და შეფასებაც გვინდა, ხოლო ინდიკატორი კი, თუ როგორ გავზომოთ პროგრესი და შეიძლება გამოყენებულ იქნას ორივე, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმის შემთხვევაში; 3) დაგეგმილი NFI დაფარავს ინდიკატორების დაახლოებით 90%-ს, რომელიც წარმოდგენილი იყო პირველი დღის პრეზენტაციაში; 4) შეთანხმებული C&I-ის ნუსხა უნდა გადამოწმდეს და გამოიცადოს; 5) C&I for SFM წარმოადგენს განგრძობად პროცესს; 6) საჭიროა მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის ფიქსირებული და მართვადი სისტემის შემუშავება.

საქართველო და „ევროპის ტყეები“

სტეფანი ლინსერმა (მოწვეული ექსპერტი, ვენის ბუნებრივი რესურსებისა და საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტიდან) წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც დაიწყო „პან-ევროპული“ ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების პროცესის (1994 – 2017 წლები) გაცნობით, რომელიც ხორციელდება „ევროპის ტყეების“ (FE – “Forest Europe”) ფარგლებში. აღინიშნა, რომ პროცესი ფარავს 46 ევროპულ ქვეყნებს ტყის ეკოსისტემების ფართო სპექტრით და დღეისათვის განვითარებულია 6 კრიტერიუმი და 45 ინდიკატორი, რასაც მოჰყვება პარტნიორ ორგანიზაციებთან ან პროცესებთან დაკავშირებული სატყეო ინდიკატორების შესაბამისობა და მნიშვნელობა, მათ შორის კომუნიკაციის საშუალებები, მაგ. სოფლის განვითარება; გარემოს დაცვა და ბიომრავალფეროვნება; კლიმატის ცვლილების შერბილება და ადაფტაცია; წყალი; ენერჯია; ბიო-ეკონომიკა. სტეფანიმ ასევე ხაზი გაუსვა მის რეკომენდაციებს, რომელიც შეეხებოდა საქართველოში განვითარებულ C&I-ის პირველ სამუშაო ვერსიას და აღნიშნა, რომ, ეროვნული ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებისას, საბაზისოდ აუცილებელია იყოს აღებული რეგიონულ დონეზე განვითარებული კრიტერიუმები და ინდიკატორები (მაგ.: „ევროპის ტყეები“), რომელსაც დამატებით შესაძლებელია დაემატოს ქვე-ინდიკატორები, იმისათვის რომ, მაქსიმალურად შეესაბამებოდეს ეროვნულ საჭიროებებს. გარდა ამისა, საქართველო ეროვნულ ანგარიშგებას აწარმოებს „პან-ევროპული“ 6 კრიტერიუმისა და 45 ინდიკატორის გამოყენებით. მის პრეზენტაციაში, ასევე, განხილული იყო C&I-ის გამოყენების შესახებ ინფორმაცია გლობალურიდან ადგილობრივ დონეზე და წარმოადგინა ევროპულ ქვეყნების მაგალითები C&I-ის განხორციელების შესახებ, უფრო დეტალურად კი, ავსტრიის გამოცდილების შესახებ. მან ასევე წარმოადგინა გლობალური, რეგიონული ან ეროვნული დონის C&I-ის ძირითადი პრივილეგიები, იმისათვის, რომ, გადაწყვეტილების მიმღებმა უწყებებმა გამოიყენონ შემდეგში: 1) გააძლიერონ შედეგზე ორიენტირებული სატყეო პოლიტიკისა და ეროვნული სატყეო პროგრამის / სტრატეგიის განვითარება და შეაფასონ მათი განხორციელება; 2) ხელი შეუწყოს და წახალისოს მდგრად სატყეო მეურნეობაზე გადასვლა; 3) აღრიცხოს, შეაფასოს და უზრუნველყოს ტყის მდგრადი მართვისა ან/და ტყეების მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება, ასევე, გააძლიეროს დიალოგი საზოგადოებასთან და სხვა სექტორებთან და წარმოაჩინოს ტყეების წვლილი.

ესტონეთის გამოცდილების მიმოხილვა C&I for SFM-თან დაკავშირებით

ესტონეთის გარემოს სამინისტროდან მოწვეულმა ექსპერტმა, მათი ვალგეპამ, დეტალური პრეზენტაციით მიმოიხილა ესტონეთში C & I-თან დაკავშირებული ისტორია, არსებული საფუძველი, განმარტებები, მიზანი, პროცესები, შედეგები და გამოწვევები. მან წარმოადგინა ინფორმაცია ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორების, მათ ფუნქცია/თვისებებსა და სისწორის გადამოწმების შესახებ, ასევე, მიმოიხილა მონაცემთა ნაკადის პირამიდა, C & I-ების მაგალითები და ესტონეთის გამოცდილება ეროვნული ტყის ინვენტარიზაციისა და მისი შედეგების შესახებ. ხაზი გაესვა იმას, რომ, საუკეთესო ინდიკატორები უნდა იყოს „სპეციფიკური, გაზომვადი, რეალისტური და დროში განსაზღვრული“ (*SMART - Specific, Measurable, Achievable, Realistic and Time-bound*). მან, ასევე, წარმოადგინა ინფორმაცია ნასწავლი გაკვეთილების/პრაქტიკის შესახებ: 1) ტყის მდგრადი მართვის პრინციპების ინტეგრაციის სრული ვალდებულება პოლიტიკაში, ინსტრუმენტებში და პრაქტიკაში იყო სწორი გადაწყვეტილება გარდამავალ პერიოდში; 2) მნიშვნელოვანია ინვესტიცია ადამიანურ რესურსებში, ინოვაციური ინფორმაციული ტექნოლოგიების გადაწყვეტილებები და კარგად ჩამოყალიბებული საინფორმაციო სისტემის მენეჯმენტი. 3) მონაწილეობითი პროცესის ჩამოყალიბება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა იყო სახიფათო, მაგრამ გარანტირებული დაბალანსებული არჩევანი.

C&I-ის შემუშავების პროცესის პრინციპები და წესები

სემინარის ფასილიტატორმა, ვარდან მელიქიანმა, წარმოადგინა პრეზენტაცია ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებისთვის საჭირო პროცესების, უნარ-ჩვევებისა და მეთოდების შესახებ ორი მიდგომის დემონსტრირების გზით: 1) “Bottom up” C & I-ის განვითარება - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მეთოდები, რათა დადგინდეს დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტების და ინდიკატორების განსაზღვრა სწორად; 2) “Top down” C & I-ის განვითარება - საერთაშორისო კრიტერიუმებისა და ინდიკატორების მიმოხილვა, პრიორიტეტის მინიჭება და ადაპტირება.

როლური სავარჯიშო “bottom up” მეთოდი, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ეროვნული პრიორიტეტების გამოსავლენად

სემინარის ეს ნაწილი მიზნად ისახავდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა მიერ განხორციელებული ანალიზის შედეგების შეკრება ტყის სექტორის საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრაში. ფასილიტატორმა განმარტა მრავალ დაინტერესებულ მხარეთა მიერ, სხვადასხვა სავარჯიშოების (ჯგუფური სამუშაოების) მეშვეობით ეროვნული პრიორიტეტული ინდიკატორების ნუსხის შემუშავების მნიშვნელობა. ინდიკატორების შერჩევითი მეთოდის (bottom up) მიზანია ყველა დაინტერესებული მხარის მოზიდვა და ეროვნული პრიორიტეტებიდან გამომდინარე ინდიკატორების შემუშავება, იმისათვის, რომ იყოს კარგად ჩამოყალიბებული, ნათელი და გაზომვადი. სემინარის მონაწილეები დაიყვნენ ოთხ ჯგუფად (**ჯგუფი 1** - დაინტერესებული მხარეების გამოვლენა და დარუკება; **ჯგუფი 2** - ტყეზე დამოკიდებული მოსახლეობა; **ჯგუფი 3** - კერძო სექტორი, სატყეო საწარმოს პერსპექტივა; **ჯგუფი 4** - სახელმწიფო სატყეო სექტორში დასაქმებული მეტყევე სპეციალისტები.) და მიეცათ შესაბამისი ინსტრუქცია სამუშაო ჯგუფებს, მათ შორის, დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაციისა და დარუკების გზები ეროვნული C & I-ის განვითარების პროცესში.

ჯგუფი 1 - დაინტერესებული მხარეების გამოვლენა და დარუკება

ჯგუფის მიზნები იყო დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება საქართველოს ეროვნული C & I-ის განვითარების პროცესისათვის და განესაზღვრა მათი დამოკიდებულება ტყის რესურსებზე და გავლენის დონე ტყის მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პრაქტიკული იდეების შემუშავება, თუ როგორ იქნას უზრუნველყოფილი მათი ჩართულობა და ამ პროცესში მათი როლის განსაზღვრა.

ჯგუფმა გამოავლინა და დააზუსტა ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე, მათი დამოკიდებულების ან ტყის რესურსებზე ზემოქმედების, ასევე, მათი ზემოქმედების დონეები ეროვნულ დონეზე ტყეების მართვის საქმეში (ცხრილი 2).


დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პრაქტიკული იდეები და მეთოდები

1. მუდმივი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება;
2. ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე სამუშაო შეხვედრების/სემინარების ორგანიზება;
3. ეფექტური კომუნიკაციის საშუალებით, ინფორმაციის გავრცელება ყველა დაინტერესებულ მხარესთან და შესაბამის სამუშაო ჯგუფებთან.

გამოვლენილი ფუნქციები:

1. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - პოლიტიკის მიმართულებით მხარდაჭერა და ხარისხობრივი ინდიკატორების განვითარება, ასევე, სამუშაო ჯგუფების / სამუშაო შეხვედრების კოორდინაცია და ინფორმაციის გავრცელება დაინტერესებულ მხარეებთან;
2. ეროვნული სატყეო სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო - მეტი ყურადღება გაამახვილონ რაოდენობრივი ინდიკატორების განვითარებაზე და მათ მიზანშეწონილობაზე, იმისათვის, რომ ინდიკატორები იყოს „სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში განსაზღვრული“ (*SMART - Specific, Measurable, Achievable, Realistic and Time-bound*);
3. მუნიციპალიტეტები და კერძო სექტორი - გათვალისწინებული იყოს მათი საჭიროებები, შეფასდეს სიტუაცია და ხელი შეეწყოს ადგილობრივი დონის ინდიკატორების განვითარებას ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური პერსპექტივის გათვალისწინებით;
4. აკადემიური და არასამთავრობო სექტორი - ხელი შეეწყოს სამეცნიერო და კვლევაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს ყველა ტყის მდგრადი მართვის ყველა ასპექტში (ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური).

ცხრილი 2. პირველი ჯგუფის შედეგები. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და დარურება ტყეებზე მათი დამოკიდებულებისა და ეროვნულ დონეზე მათი ზეგავლენის დონეები ტყეების მართვაზე.



აღინიშნა, რომ, ზოგიერთი დაინტერესებული მხარე (მაგ.: ადგილობრივი მთავრობები; კერძო სექტორი; ეკონომიკის სამინისტრო) არ მონაწილეობდნენ ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავების პროცესში და აუცილებლად უნდა მოხდეს მათთან კომუნიკაცია და ინფორმირება.

ჯგუფი 2 - ტყეზე დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობა

სამუშაო ჯგუფის ამოცანები იყო ტყის სექტორის პრობლემის ანალიზის გაკეთება დადებითი გადაწყვეტილებების ან ეფექტების იდენტიფიცირებისთვის, რომელიც პრიორიტეტული იქნება ტყეებზე დამოკიდებულების მქონე თემების პერსპექტივიდან გამომდინარე, პოლიტიკის/მმართველობის, სოციალურ-ეკონომიკური და სატყეო ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით, იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს შესაბამისი ინდიკატორების განვითარებას.

ჯგუფის წევრებმა ხაზი გაუსვეს ადგილობრივი მთავრობებისა და მოსახლეობის არასაკმარის შესაძლებლობებს (ცოდნა, შესაძლებლობები, გამოცდილება) ტყეების მდგრადი მართვის მიმართულებით, რომელსაც, ასევე ემატება გადაძოვება და ტყის რესურსების გადამეტებული გამოყენება საშეშე და სამასალე მერქნის მიღების მიზნით, რომელიც იწვევს ტყის დეგრადაციას, ნიადაგის ეროზიას, ბიომრავალფეროვნების კარგვას, ბუნებრივ კატასტროფებს და ჰიდროლოგიური ქსელის ხარისხის შესუსტებას. განისაზღვრა უარყოფითი შედეგებისა და პრობლემების გამომწვევი მიზეზები: კომუნიკაციის ნაკლებობა ტყის მართვის ორგანოებსა და ადგილობრივ მთავრობებს/მოსახლეობას შორის; ინტერესთა კონფლიქტი; შემოსავლის შესაძლებლობები; პრობლემები სატყეო კანონმდებლობაში; ტყის მდგრადი მართვის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა; მუნიციპალიტეტებსა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სიღარიბის გამომწვევი მიზეზები, მათ შორის, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.

პრობლემებისა და გამომწვევი მიზეზების ანალიზის საფუძველზე, პრიორიტეტულად ჩამოყალიბდა შემდეგი პრობლემის გადაჭრის გზები ტყეებზე დამოკიდებული მოსახლეობის პერსპექტივის გათვალისწინებით:

1. საჭიროება დასაქმებულთა კომუნიკაციის უნარ ჩვევების განვითარების კუთხით, იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფას სხვადასხვა ცნობიერების ამაღლებისა და ტრენინგების განხორციელების საშუალებით.
2. მუნიციპალიტეტებთან და ადგილობრივ მთავრობებთან ერთობლივი საპილოტე პროექტების განხორციელება;
3. ორგანიზებული მოსახლეობის ჩართულობის სისტემა და მოსახლეობის საჭირო ინფორმაციითა და ანგარიშებით უზრუნველყოფა;
4. ტყის მართვის გეგმებისა და ტყეების ზონირების პროცესში ადგილობრივი მთავრობების მონაწილეობის უზრუნველყოფა;
5. საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება;
6. ტყის მულტიფუნქციური გამოყენების ხელშეწყობა;
7. ხელი შეეწყოს ბიომასის წარმოებას ენერჯისათვის (საშემედ) ტყისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენების გადამუშავების გზით.

შემუშავებული ინდიკატორები პრობლემის გადაჭრის მიხედვით შემდეგია:

1. ტყის კოდექსის განხორციელება მუნიციპალური ტყის მართვის სისტემის განვითარების თვალსაზრისით;
2. გაუმჯობესებული უნარ ჩვევები;
3. კვალიფიციური სპეციალისტების რაოდენობა;
4. ტრენინგების სისტემა / ტრენინგების რაოდენობა;
5. ადგილობრივ მთავრობებთან/მუნიციპალიტეტებთან სამუშაო შეხვედრების რაოდენობა;
6. მონაწილე/ჩართული ადამიანების რაოდენობა;
7. ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებები;
8. მოსახლეობის ჩართულობის ეფექტური სისტემა (ინფორმაციის გავრცელების სისტემა მათ შორის);
9. საპილოტე პროექტების რაოდენობა;
10. წარმატებული საპილოტე პროექტები;
11. ბიომასის მწარმოებელი საწარმოების რაოდენობა მუნიციპალიტეტებში;

ჯგუფი 3 - კერძო სექტორი & სატყეო საწარმოები

მესამე ჯგუფის დავალებას წარმოადგენდა SWOT ანალიზის განხორციელება კერძო სექტორისა და სატყეო საწარმოების პერსპექტივიდან გამომდინარე მათი ყოველდღიური საქმიანი ოპერირების გათვალისწინებით, ასევე ხელსაყრელი პირობების შექმნის კუთხით (სამთავრობო პოლიტიკა; კანონმდებლობა; ბაზარი; მიწოდება და ა.შ.) პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც აეგება ძიერ მხარეებზე სუსტი მხარეების საპირისპიროდ, ასევე რეკომენდაციები, რომელიც აეგება შესაძლებლობებზე და დაუპირისპირდება საფრთხეებს, იმისათვის რომ შემსუბუქდეს რელევანტური ინდიკატორების განვითარების პროცესი.

SWOT ანალიზის შედეგები:

ძლიერი მხარეები: დაბალ ანაზღაურებადი დაქირავებული პერსონალი; ლიცენზიის მფლობელები უმეტესწილად ფლობენ საკუთარ ხე-ტყის გადამუშავების საწარმოებს; ტყის საფარის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი და რესურსი; საქართველოდან მერქნის პროდუქტების იმპორტით დაინტერესებული ქვეყნების სიახლოვე (სომხეთი, აზერბაიჯანი, ირანი, თურქეთი); მცირე დეკორატიული პროდუქციის საოჯახო საწარმოები.

სუსტი მხარეები: ნედლი მასალის იმპორტზე რუსეთის ფედერაციაზე დამოკიდებულება; არასტაბილური ბაზარი მიწოდების პრობლემიდან გამომდინარე; მოშლილი ხე-ტყის გადამუშავების/პროდუქციის მწარმოებელი კერძო სექტორი; საშეშე მერქანის მოხმარების/მოთხოვნის მაღალი მაჩვენებელი; არალეგალურ სექტორთან კონკურენცია; არასაკმარისი ინვესტიცია ტყის სექტორში; მოძველებული მექანიზაცია/ტექნოლოგიები; მომავალი განვითარებისა და სამომავლო მერქნული მარაგების არასრული ხედვა; სატყეო გზების მდგობარება;

პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელიც ეფუძნება მიერ მხარეებს, სუსტი მხარეების საპირისპიროდ

- 1) ტყისა და მერქნული რესურსების FSC სერტიფიცირება;
- 2) ეკოლოგიურად გამართლებული სილვიკულტურული და ხეების ჭრის ტექნიკისა და სისტემების დანერგვა;
- 3) მერქნულ რესურსებთან (სილვიკულტურა, ჭრის წესები და გადამუშავება) დაკავშირებული პერსონალის პროფესიული განათლება;

შესაძლებლობები: სხვადასხვა მერქნული პროდუქციის წარმოებაზე გათვლილი საწარმოების სწრაფი განვითარება; ტყის არამერქნული რესურსის წარმოების დიდი პოტენციალი; გარემოებების ადგილობრივ მოსახლეობაზე მორგება; სამრეწველო პროდუქციაზე (სამშენებლო, ავეჯი) მოსახლეობის მხრიდან მზარდი მოთხოვნა; სწრაფად მზარდი სახეობების პლანტაციების განვითარების შესაძლებლობები (გარემოება და ხელმისაწვდომი ფართობები).

საფრთხეები: არალეგალური ხის მჭრელების დიდი ქსელი; არასაკმარისი გარანტიები მთავრობის მხრიდან (შეზღუდვები, არაორგანიზებული ინვესტიციები).

პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელიც ეფუძნება შესაძლებლობებს და უპირისპირდება საფრთხეებს:

1. ეროვნული (პოლიტიკური) ეკონომიკური პროგრამის შემუშავება;
2. მრგვალი მორის ექსპორტის აკრძალვა;
3. ტყისა და მერქნულ რესურსებთან დაკავშირებული ინვესტიციების წახალისება;
4. არალეგალური ჭრებისა და ექსპორტის მკაცრი კონტროლი.

კერძო სექტორისა და სატყეო საწარმოების პრობლემის ანალიზის შედეგად შემუშავდა ხუთი პოზიტიური პრობლემის გადაჭრის გზა კერძო სექტორის პერსპექტივის გათვალისწინებით:

1. სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც შეამცირებს კორუფციასა და არალეგალურ ღონისძიებებს;
2. ეკონომიკური პროგრამა სატყეო მრეწველობისთვის (მათ შორის, ტყის არამერქნული რესურსები და სხვა სერვისები), მთავრობის მიერ კანონიერი წახალისების გზით;
3. პროფესიული სატყეო განათლება (სილვიკულტურა, ჭრის წესები და გადამუშავება) და დასაქმებულთა სისტემატიური ტრენინგები;
4. ეკოლოგიურად გამართლებული სილვიკულტურული და ხეების ჭრის ტექნიკისა და სისტემების დანერგვა, მათ შორის, საკაბელო სისტემები და ტყის გზების განვითარება;
5. მოსახლეობისათვის მისაწოდებელი საშეშე მერქნის მარაგების გაუმჯობესება;

შემუშავებული ინდიკატორები პრობლემის გადაჭრის მიხედვით შემდეგია:

1. არალეგალური ქმედებების/ჭრების რაოდენობა და მოცულობების ანალიზი;

2. წახალისებისათვის (სუბსიდია; პირდაპირი დაფინანსება, პრიორიტეტის მინიჭება) ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსები;
3. ინვესტიციები ტყეებსა და მეტყვევობაში (საჯარო და კერძო ინვესტიციები);
4. ხე-ტყით ვაჭრობის მონაცემები/ანგარიშგება (მერქნისა და მერქნული რესურსით წარმოებული პროდუქცია);
5. კვალიფიციური კადრის ხელმისაწვდომობა/რაოდენობა;
6. სატყეო გზები (კმ/ჰა) (ქვე-ინდიკატორით: ახალი გაკეთებული, რეაბილიტირებული);
7. საშეშე მერქნის მოხმარება (მ3/წ);
8. ტყის სექტორის წვლილი მთლიან შიდა პროდუქტში;
9. ტყის მულტიფუნქციური გამოყენება (კლასიფიცირებული სხვადასხვა ტიპის ტყით სარგებლობით. მაგ.: რეკრეაცია, არამერქნული რესურსები და ა.შ.)

ჯგუფი 4 - სახელმწიფო სატყეო სექტორში დასაქმებული მეტყვევ სპეციალისტები

მეოთხე ჯგუფის დავალებას წარმოადგენდა SWOT ანალიზის განხორციელება სხვადასხვა ტყის ტიპის მართვის ფორმებზე, სახელმწიფო სატყეო სექტორში დასაქმებულთა პერსპექტივის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ, ანალიზის შედეგების გათვალისწინებით შემუშავებინათ გადაჭრის გზები და განვიტარებინათ ინდიკატორები, როგორც გამოვლენილი გადაჭრის გზების შედეგები.

პირველ გიგში, ჯგუფმა დაიწყო ტყის კატეგორიების გამოვლენა და გააკეთა ჩამონათვალი: 1) სატყეო ფონდი, ნიადაგის დაცვისა და წყლის რეგულირების ფუნქციით, რომელიც მოიცავს მწვანე და საკურორტო ზონებსაც; დაცული ტერიტორიები, რომელიც მოიცავს აღკვეთილებს, ეროვნულ პარკებს, სახელმწიფო ნაკრძალებს, ბუნების ძეგლს და დაცულ ლანდშაფტებს.

SWOT ანალიზის შედეგები:

ძლიერი მხარეები ტყეების მართვის პრაქტიკაში ფორმულირდა შემდეგნაირად: ნიადაგის დამცავი და წყლის რეგულირების ფუნქციების შენარჩუნება; კარგად დაგეგმილი ჭრის წესები; მწვანე ზონები - სოფლების სუფთა ჰაერის, ესთეტიკისა და დასვენების უზრუნველყოფა; საკურორტო ზონები - სანიტარული / ფიტნეს ფუნქციები; ზემოაღნიშნული ტყის ყველა კატეგორია რეგულირდება შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოებით; ეროვნული ტყის კონცეფციის არსებობა; ტყეების მართვა დეცენტრალიზებულია ზოგიერთ რაიონში; მეტყვევები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი აღჭურვილობით; შემუშავებულია ფუნქციური ინფრასტრუქტურული ქსელი; ბიომრავალფეროვნების მაღალი მაჩვენებელი;

სუსტი მხარეები / გამოწვევები ტყის მართვის პრაქტიკაში: ტყის ფონდის შიგნით უკანონო ჭრის საქმიანობა; ხარვეზები სამართლებრივ ჩარჩოებში; არაეფექტური სამართალდამცავი ორგანო; არა ეფექტური ტექნიკა და ინფრასტრუქტურა (მექანიზაცია, ტყის გზები, ველური ხანძრის საწინააღმდეგო დამცავი ტრეკები და ა.შ.); ტყის რეინჯერების შეზღუდული რაოდენობა; დაცული ტერიტორიების ქსელის არაპროპორციული განვითარება; პროფესიული განათლების დაბალი დონე; სექტორის არასაკმარისი დაფინანსება; სატყეო ინვენტარიზაციის არარსებობა და ქვეყნის მასშტაბით მართვის გეგმების ნაკლებობა; ადგილობრივი თემების ეკოლოგიური ცნობიერების ნაკლებობა; კლიმატის ცვლილების მიზეზები; მავნებლების, დაავადებების და ხანძრების წინააღმდეგ ტყის დაცვასთან დაკავშირებული არასაკმარისი ღონისძიებები; არასრულფასოვანი ხე-ტყის დამზადებისთვის საჭირო მექანიზაცია და სუსტი უსაფრთხოების სტანდარტები.

გამოვინდა პრაქტიკული რეკომენდაციები გამოწვევების გადასაჭრელად:

1. საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება;
2. სახელმწიფო ზედამხედველობისა და მონიტორინგის გაძლიერება;
3. მეტყვევ სპეციალისტებისა და რეინჯერების რაოდენობის გაზრდა;
4. პროფესიული სწავლებისა და ინსტიტუციონალური სისტემის გაუმჯობესება;
5. დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა საჭირო რესურსების ათვისების მიზნით;
6. ადგილობრივი მთავრობებისა და მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფა ტყეებთან დაკავშირებული საქმიანობების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, მათ შორის, ცოდნის გასაღრმავებელი და ინფორმაციის გამავრცელებელი აქტივობები (სემინარი, სამუშაო შეხვედრა, ტრენინგი) მეტყვევ სპეციალისტების მეშვეობით;
7. სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და შესაბამისი ქმედებების დროული განხორციელება;
8. სატყეო მექანიზაციის განახლება და პროფესიული უსაფრთხოების მონიტორინგის გაძლიერება.

ანალიზის შედეგად პრიორიტეტი მიენიჭა და განისაზღვრა შემდეგი ხუთი პოზიტიური პრობლემის გადაჭრის გზები სახელმწიფო სატყეო სექტორში დასაქმებული მეტყვევ სპეციალისტების პერსპექტივის გათვალისწინებით:

1. სატყეო სექტორის დაფინანსების გაზრდა;
2. კანონმდებლობის გაუმჯობესება;
3. ინსტიტუციონალური განვითარება;
4. სახელმწიფო ზედამხედველობისა და მონიტორინგის გაძლიერება;
5. ტყის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება.

შემუშავებული ინდიკატორები პრობლემის გადაჭრის მიხედვით შემდეგია:

1. ტყის მართვის ორგანოებისთვის ბიუჯეტის გაზრდა / საჭირო სატყეო ღონისძიებების სრული ფინანსური უზრუნველყოფა;
2. სატყეო კანონმდებლობის ჰარმონიზება ტყის მდგრადი მართვის პრონციპებთან;
3. ტყის მართვის სისტემებში დასაქმებულთა გაუმჯობესებული კვალიფიკაცია და შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურა, მათ შორის, ინფრასტრუქტურა;
4. არალეგალური ქმედებების მინიმალური ზღვარი;
5. გაუმჯობესებული ტყეების მდგომარეობა და ტყით დაფარული ფართობების მატება;

სამუშაო ჯგუფის პრეზენტაციების შემდეგ ჩატარდა „თევზაობის მეთოდი“ (Fishbowl Method) (დინამიური თვით-მოდერაციის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს უკუკავშირს და მონაწილეობას) იმისათვის, რომ, ჯგუფის წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები შემუშავებული ინდიკატორების შესახებ. დისკუსიის დროს, ჯგუფის წევრებმა განიხილეს საქართველოსთვის პრიორიტეტული საკითხები და მიმართულებები. შეხვედრის ყველა მონაწილემ შეაფასა შემოთავაზებული ინდიკატორები პრიორიტეტების მიხედვით და აუდიტორიის მხარდაჭერით სწორი ფორმულირების მიხედვით.

საბოლოოდ კი, განხორციელდა თვითთელი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შემუშავებული მსგავსი ინდიკატორების შეერთება და მონაწილეებს ეთხოვათ მიენიჭებინათ ქულები რანგირების მიზნით.

ცხრილი 3. შემუშავებული ინდიკატორების ინდივიდუალური შეფასება.

კონსოლიდირებული ინდიკატორები	სრული შეფასება	რანგირება
ტყის სექტორის წახალისებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსები	4	4
არალეგალური აქტივობების რაოდენობა და ამ გზით მოპოვებული მერქნის მოცულობა	4.4	2
სატყეო გზების ქსელი (კმ/ჰა) (ქვე-ინდიკატორი: ახალი სატყეო გზები; რეაბილიტირებული გზები)	3.7	8
საშეშე მერქნის მოხმარება (მ3/წ)	4.2	3
ხელმისაწვდომი კვალიფიციური კადრი შრომით ბაზარზე	3.6	9
ტყის მართვის ინსტიტუციებისათვის გაზრდილი დაფინანსება / საჭირო სატყეო ღონისძიებების სრული ფინანსური უზრუნველყოფა	3.9	6
გაუმჯობესებული ტყეების მდგომარეობა და ტყით დაფარული ფართობების მატება	3.9	7
შემცირებული არალეგალური ჭრები/აქტივობები	4.44	1
ტყის მართვის სისტემებში დასაქმებულთა გაუმჯობესებული კვალიფიკაცია და შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურა, მათ შორის, ინფრასტრუქტურა;	3.6	10
C&I ჰარმონიზებულია ეროვნულ კანონმდებლობაში	4	5
ტყეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების რაოდენობა მოსახლეობის მონაწილეობით	3.4	12
პროცესებში ჩართული მონაწილეთა რაოდენობა	2.9	18
მოსახლეობის მონაწილეობა ტყის მართვის გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში	3.6	11
ტყის კოდექსის განხორციელების მონიტორინგი მუნიციპალური სატყეო მმართველობის განვითარების პერსპექტივით	3	16
განხორციელებული ტრენინგები / კვალიფიციური პერსონალის რაოდენობა	3	17
ხელმისაწვდომი სატყეო განათლება	3.4	13
ერთობლივი საპილოტე პროექტები მუნიციპალიტეტებთან / ადგილობრივ მთავრობებთან და მისი შედეგები	3.1	15
მოსახლეობის მონაწილეობის ეფექტური სისტემა / სატყეო ინფორმაციისა და მონიტორინგის თანამედროვე სისტემა	3.3	14

საერთაშორისო და რეგიონული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ნუსხის შესწავლა, ეროვნულ პრიორიტეტებზე მორგების მიზნით (“top down” პროცესი)

მეთოდის მიზანია შეისწავლოს რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე უკვე შემუშავებული ინდიკატორები და მოირგოს (ასევე განავითაროს) ის ქვეყნის პრიორიტეტებიდან გამომდინარე. მონაწილეებს წარედგინათ სახელმძღვანელოები, რომლებიც გამოყენებული იქნა სხვადასხვა ქვეყნაში კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებისათვის, რომელთა საფუძველზეც შეიძლება განისაზღვროს საქართველოს ეროვნული პრიორიტეტების შესაბამისი ინდიკატორები.

„Top-down“ პროცესი გულისხმობს საერთაშორისოდ (რეგიონალურ დონეზე) შემუშავებული ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ადაფტაციას ეროვნულ დონეზე. იგი იძლევა საშუალებას, რომ, შესწავლილი იქნას ორიგინალი (არსებული) C&I-ის ნუსხა, იმისათვის, რომ მოხდეს მსჯელობა და გადაწყვეტილება იმის შესახებ, აკმაყოფილებს თუ არა ის საქართველოს პირობებს, ასევე, არსებობს თუ არა მისი მოდიფიკაციის საჭიროება.

3.4. დღე 3, ეროვნული C&I-ის შემუშავება

მე-2 დღის შეჯამება:

